კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება106**

**ქ. თბილისი, ივლისი 2020 წ.**

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფურიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ინტელკომ ჯგუფი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი ნოზაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 3-ე მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტისა "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე - 2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის ვახტანგ დანელიას 16.07.2020 წლის მ/ბ N15/02-519-ის საფუძველზე „ ქსელის კაბელების"-ს (CPV 32421000) შესყიდვა შემდეგი ოდენობით:

| | დახასაიათება | რაოდ. (ცალი) | ერთ. ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | Unifi AP Long-Range | 3 | 427.95 | 1283.85 |
| 2 | DRAKA-Cat5e FTP 100% სპილენძი შიდა გამოყენების 305 | 1 | 416.38 | 416.38 |
| | ჯ ა მ ი : | | | 1700.23 |

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: 1700.23 (ერთი ათას შვიდასი ლარი)23 თეთრს.

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ამავე უნივერსიტეტის 2020 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.

## *4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარებს წესი*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი ანგარიშ/ფატურისა (სასაქონლო ზედნადებისა) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მოწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.4 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ნინო თოფურიძე და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის ვახტანგ დანელია.

4.5 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა*

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2020 წლის 30 ივლისიდან 2020 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N61.

## *6.1 მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

*6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:*

6.1.1. საქონლის მიწოდების დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი;

6.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტები.

*6.2. შემსყიდველი ვალდებულია:*

6.2.1. უზრუნველყოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

## *7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი*

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის ვახტანგ დანელია.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *8 .პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის*

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## *9.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## *10. დაუძლეველი ძალა*

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### *11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელ.ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 12. ზოგადი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით ქართულ ენაზე.

12.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ან მათი სათანადო რწმუნებულების მქონე წარმომადგენლების მიერ.

| **"შემსყიდველი"** | **"მიმწოდებელი"** |
|---|---|
| სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | შპს " ინტელკომ ჯგუფი" |
| ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №61 | თბილისი, შალვა გოგიძის ქ. N5 |
| ს/კ 205224700 | ს/კ 202441189 |
| მიმღების ბანკი _ სახელმწიფო ხაზინა | ს. ს. "თი ბი სი ბანკი" |
| ბანკის კოდი _TRESGE22 | ბ/კ TBCBGE22 |
| მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი _7 0904 9921 | ანგ.№ GE76TB7037936020100003 |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | დირექტორი |
| ნინო თოფურიძე | ირაკლი ნოზაძე |
| _____ | _____ |

Intellcom Group LTD

Digitally signed by Intellcom Group LTD
Date: 2020.07.30 13:48:21 +04'00'